ფასი 30 თეთრი ... ინფორმაცია ტელესერიალების მოყვარულთათვის ...

# ფანტაზია

№ 8 (34)

17-23 მარტი | ი/ს „ფანტაზიის“ შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | 1997 წელი




## კონკურსი

ვინც გამოიცნობს, ვინ „იმალება“ კროსვორდის უკან, მიიღებს 5 ლარს!

პასუხი მოიტანეთ 21 მარტის ჩათვლით



თარაზულად: 1. ქალი, რომელმაც შარშან მთელი საქართველო აახუ(ა)ნტრუცა; 8. შუა საუკუნეების (ვინმე) კონ... რომის პაპად ქცეული მეკობრე; 9. ჭაბუკი, რომელსაც თოჯინები კონსერვატორიას ერჩია; 10. (ძალად) ბოშა გოგონა, რომელიც ძალიან ჰგავს შშობიარობაგადაყოლილ დედას; 11. ალ. ყაზბეგის ერთი მოთხრობის პერსონაჟი; 12. სიტყვა, რომლითაც კაზური ანეკდოტების პერსონაჟი მართავს თავის (ასევე ანეკდოტურ) ცხოვრებს; 15. რუს დეკაბრისტთაგან ერთ-ერთი „პერსონაჟი“; 16. სპილო, „კასანდრას“ პერსონაჟი; 19. ელეონორა (რა გვარია?) — მრავალი პერსონაჟის განმასახიერებელი... ასი წლის წინათ; 21. იტალიური ეროვნ.-განმათავ. მოძ. -ის მთავარი „პერსონაჟი“ ჯუზეპე... ასის წლის წინათ; 23. კოსმონავტიკის პირველი „პერსონაჟი“, ანუ მისი სახელი; 24. საქართველოს სახაჭაპურე „ფეიერვერკის“ ერთობ მსუყე წარმომადგენელი; 25. თანამედროვე ბრაზილიური ფეხბურთის „პერსონაჟი“; 26. ქართული საბავშვო ტელეგადაცემების პერსონაჟი; 27. აშშ-ს შტატებს შორის (ერთობ) კოსმიური შტატი (პერსონაჟი); 28. არაბული ზღაპრების პერსონაჟი.

შვეულად: 1. „გრაფი მონტე-კრისტოს“ პერსონაჟი ქალი; 2. „გამზრდელის“ პერსონაჟი ქალი; 3. ნოდარ დუმბაძის ცნობილი მოთხრობის მთ. პერსონაჟი; 4. „რიჩარდ მესამეს“ პერსონაჟი; 5. უპირველესთაგანი ბიბლიური პერსონაჟი; 6. მულტფილმ „მტრობის“ პერსონაჟი; 7. ვახტანგ კიკაბიძის პერსონაჟი კინოფილმში „მეხვედრა მთაში“; 10. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 13. მე-19 ს. რუსული ფილოსოფიის (ერთდროს უარყოფილი, „პერსონაჟი“; 14. ჰიუგოს უცნობილესი რომანის პერსონაჟი; 17. „კასანდრას“ მთავარი ბოშა-ბებია (პერსონაჟი); 18. კინოფილმში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ — მხოლოდ ნახატით მონაწილე მხატვარი-პერსონაჟი; 20. „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი; 21. №18-ში ხსენებული ფილმის რეალური პერსონაჟი; 22. პერსონაჟი სულხან-საბას ცნობილი იგავ-არაკთა კრებულისა.

## ვინ იყო კასანდრა?

კასანდრა იყო ბერძნულ მითოლოგიაში პრიმოსისა და ჰეკაბეს ქალიშვილი, ტროას მეფის ასული., იგი შეუყვარდა აპოლონს და წინასწარმეტყველების ნიჭით დააჯილდოვა, მაგრამ როდესაც კასანდრამ უარყო აპოლონის სიყვარული, მაშინ განრისხებულმა ღმერთმა ისე მოაწყო, რომ კასანდრას წინასწარმეტყველებას აღარავინ უჯერებდა, კასანდრას არ დაუჯერეს ტროას დაცემის წინასწარმეტყველება. ტროას დაცემისას კასანდრა ცდილობდა დამალულიყო ათენას ქანდაკების უკან, მაგრამ ლოვრიდელმა ეანტმა შენიშნა და დაიჭირა, ნადავლის განაწილების შემდეგ კასანდრა ერგო აგამემნონს და მასთან ერთად დაიღუპა მიკენში ეგისთესა და კლიტემნესტრას ხელით. ერთი მითის მიხედვით კლიტემნესტრამ სწორედ კასანდრას თანხლების გამო მოკლა ქმარი. ლაკონიაში გავრცელებული იყო კასანდრას კულტი, რომელიც შემდეგ ადგილობრივი გმირი ქალის ალექსანდრას კულტს შეერწყა. მითი გამოიყენა ესქილემ ტრილოგია „ორესტეაში“. თანამედროვე გაგებით კასანდრას უწოდებენ ისეთ ადამიანს, რომელიც წინასწარ გრძნობს მოსალოდნელ დიდ უბედურებას, მაგრამ განრიდება არ შეუძლია.

## ანეკდოტი

ქათამს ტანკმა გადაუარა, მაგრამ როგორღაც მოახერხა გამოძრომა, ფრთები შეისწორა, ბუმბული დაიბერტყა და გაიფიქრა: — აი, კაციც ასეთი უნდა!

## ციტატა

მოდა არის ის, რაც მოდიდან გადადის.

კოკო შანელი

## TV-გალერეა

ტელესერიალი „კასანდრა“ (ვენესუელა) შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით ყოველი კვირის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს. გთავაზობთ ჩვენი ფოტოკორესპონდენტის გია ტივიშვილის მომზადებულ ფოტო კოლაჟს. ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომრებში შევეცდებით რეგულარულად ასახოთ ამ ტელესერიალის პერიპეტიები.

# რამ გამოიწვია მშვენიერი ბოშა ქალის, კასანდრას, სიკვდილის პირამდე მიყვანა ცირკის არენაზე?!





# რა ტელესერიალები გადის რუსეთის არხებზე ამ კვირის განმავლობაში

**ОРТ**

- "Девушка по'имени Судьба" (Аргентина)



- "Нико и его друзья" (Франция)
- "Метод Крекера" (Англия)
- "Коломбо" - "Попробуй, поймай меня" (Италия)
- "Гордость и предупреждение" (Англия)

**РТР**

- "Фантанеро, пещера золотой розы" (Италия)
- "Уимблдонский отравитель (Англия)
- "Клубничка" (Россия)
- "Тайны темных джунглей" (США)
- "Санта-Барбара" (США)



- "Противостояние" (США)

**2х2 ТЕЛЕКАНАЛ**

- " Гваделупе" (Испания)
- "Арнау" (Испания)



- "Вдова Бланко" (Венесуела)
- "Милый враг" (Венесуела)
- "Морлок" (Германия)

**НТВ**

- "Голифакс" (Австралия)
- "Голубое дерево" (Аргентина-Италия)
- "Скорая помощь" (США)
- "Байки у склепа" (США)
- "Доктор Куин, Женщина-врач" (США)



- "Гангстерская хроника" (США)

**TELE Expo**

- "История любви" (Аргентина-Испания)



- "Никто кроме тебя" (Россия)
- "Поживем-увидим" (Россия)
- "Кларисса (Аргентина)

**TV6 МОСКВА**

- "Новый Геркулес" (Россия)
- "Вавилон-5" (Англия)
- "Рабыня Изаура" (Бразилия)



- "Держи вора" (США)

# კროს-ფანტაზია

## კროუფ(ვ)ორდი (...ლენინით...)



თარაზულად: 4. ბატონი რაჟა (მაგალითად!); 11. ქალის გამლამაზებელი (ერთგვარად); 12. გემი, რომლითაც კაპიტან გრანტს დაეძებდნენ (ფაიზალად); 13. ხევსურული ხმალი (...ევროპიდან); 15. ერთ ადგილზე მოქმედი ობიექტი (თუნდაც მედიცინიდან); 16. ,,ია, ია, ჩემო ია, გაზაფხულის ყვავილია...'' (თან ვიღიღინოთ) და კიდევ რომელია გაზაფხულის ყვავილი? 18. ფრანგი პოეტი, არტური... (,,მთვრალი'' ხომალდით); 19. ლითონი... (მესამე ადგილით); 21.ქსოვილი... (დეფისიანი მიტკალით); 22. ე.წ. შუქფარი (უცხოური ინტერპრეტაციით); 23. ბერძნული ტაძარი (ათენის აკროპოლისიდან); 24. ცხოველური ცხვირი (თუნდაც სალორიდან); 25. (მავანი) – ლამა... ტიბეტიდან; 27. უკბილოდ დარჩენილი მტაცებელი... (...ერთი ქართულ-არაბული ფილმიდან); 28. მსოფლიოს პირველი ჩემპიონი (ჭადრაკის სამყაროდან); 30. იგივეა, რაც მუშტი (,,დაახლოებით!); 33. სპორტული სირბილი; 34. ქალაქი გერმანიაში; 35. თბილისური TV, რომელიც ,,ყველა ჩვენგანის'' ოჯახში უნდა იყოს (რეკლამიდან); 36. რა ,,აეწვება'' ხოლმე ზოგიერთს (სააშიკო პრაქტიკიდან); 38. ,,საზიზღარი კაპიტალისტი,, (ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან); 39. ოკეანეების მკვლევარი... (შვეული №4-დან); 41. დიდი რუსი მწერალი (მე-19 საუკუნიდან); 42. გულზე ,,დასადგომი'' რამ; 43. საზოგადოების ყველაზე პრივილეგირებული ნაწილი.

შვეულად: 1. ანომალური მოვლენების სახესხვაობა; 2. ტუჩების მოძრაობის სახესხვაობა; 3. (ერთობ ცნობილი) ქართული მულტფილმი (ძველი ყველაფერი კარგია!); 4. ევროპის სახელმწიფო; 5. თვალთან დაკავშირებული ცნება; 6. იატაკის სახეხი საშუალება; 7. დროის მანიშნებელი ზმნიზედა; 8. პინგვინების სამშობლო; 9. მცენარეული ფქვილოვანი ნახშირწყალბადი (...სამრეცხაოდან); 10. ყველაზე ცნობილი ფილიპი; 14. ყველაზე ცნობილი იური (საბურთალოდან); 17. სალექსო ფორმა (გრიშაშვილის ,,შეითანბაზრიდან''); 20. რუსული ოპერის პრიმადონა (დიდი თეატრიდან); 23. მუს. ინსტრუმენტი (ჩვენი ოჯახებიდან); 26. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი; 28. არაბული ზღაპრების მოგზაური (კროუფორდის თითქმის მოსახელე); 29. საფრინველო შეძახილი; 31. ქართველი მსახიობი ,,სერგო''... უკაცრავად – ოთარი; 32. გაზაფხულის მწნილი; 33. ყვავთან მოშაირე ფრინველი (უხამსი ანდაზიდან); 34. ჯოჯოხეთი ბერძნული მითოლოგიიდან; 37. პორტრეტიანი პერსონაჟი (ერთი ოსკარის რომანიდან); 38. კოლექტივი... თეატრიდან; 40. სევდა, წუხილი (ძველებურად).

**P.S.** *რაც შეხება ფოტოს: ეს ლენინიანი სინდი მთლად სინდი არ გახლავთ, იგი მისი ორეულია, რომელიც თავის საიდუმლო საყვარელთან ერთად მოსკოვში ჩავიდა, თუმცა, კაცმა არ იცის, ეს სინდია თუ სინდი არ იყო. აი, ლენინი კი ნამდვილია... ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ!*

## მელოდრამატული კროსვორდი

### («საპნის ოპერების» მოყვარულთათვის)

თარაზულად: 1. ჰიგიენური საშუალება – მელოდრამების ,,ოპერებისათვის''; 6. დიდი ენათმეცნიერი – ქართველის და შოტლანდიელის სიყვარულის ნაყოფი; 8. კვაჭი კვაჭანტირაძის ებრაელი სატრფო; 9. თანამედროვე სკანდალური პოპ-ვარსკვლავი (... შვილით); 11. ქალაქი თურქეთში – საშოპტურო სიყვარულის ერთ-ერთი ცენტრი; 12. მედიცინის რა დარგი სჭირდება კიბოიანს? 14. სახის (სატრფიალო) სიწითლე; 15. ერთ-ერთი სამეფო დინასტიის გვარი; 17. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი (რუსული ინტერპრეტაციით); 18. ერთ-ერთი აუცილებელი (ინდო-მექსიკური) მელოდრამატული ,,პერსონაჟი''; 19. ქართული ფოლკლორის (მელოდრამატული) მცენარეული ,,ატრიბუტი''; 22. იტალიელი მოჯნურების გამომშვიდობება; 23. კიდევ ერთი (ინდო-მექსიკური) მელოდრამატული ,,პერსონაჟი''; 25. (ნახეთ ფილმი ,,სიოგუნი''?) ქვეყანა, სადაც ერთმანეთი შეუყვარდათ მტერმან ბლექტონს და მარიკოს... 28. სასმისი; 29. ნესტანის პირველი საქმროს სამშობლოს თანამედროვე სახელი.

შვეულად: 1. ასურეთის ცნობილი დედოფალი; 2. ტოპ-მოდელების სამოქმედო სივრცე; 3. ძველი ქართული მელოდრამატული ფილმი; 4. სახელმწიფოებრივი წყობა, რომელმაც საშუალება მოგვცა მექსიკური მელოდრამების ხილვისა; 5. ქართული კინოს პერსონაჟი – მშვენება ; 6. იგივეა, რაც თოჯინა; 7. გონების პროდუქტი; 10. ბერძნული მითოლოგიის მეამბოხე (შეყვარებული) ქალი; 13. თბილისის უბანი; 16. სიგრძის საზომი ერთეული; 17. სირიის ქალაქი-მუზეუმი; 20. მამლონურობის ,,სიმბოლო''; 21. ფრანგული სახელი; 23. ლექსის ,,დასაწერი საშუალება''; 24. ბათუ კრავეიშვილის კირორილი; 26. ქართული ჰაგიოგრაფიის პერსონაჟი; 27. ქართული მითოლოგიის გრძნეული ქალი.



## «პატივი ეცით კროსვორდისტის შრომას»!

## 80 000 კილომეტრი... კროსვორდის თანხლებით

### მეოთხე გაჩერება — „აღმოსავლეთი სლავეთი".

**ბელორუსი** — (...ძველი ფორმა — ბელორუსია) 207,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 10,5 მლნ. დედაქალაქი — მეხუთე ჰორიზონტალზე წერია. ამჟამად იქ პრეზიდენტ ლუკაშენკოს მიმართ დიდი პრეტენზიები და გამოხტომებია ოპოზიციის მხრივ... (ნეტავ რას ერჩიან?! — „ბულკივით" კაცია!)

**პოლონეთი** — (აღმოსავლეთ აზიაში ამ ქვეყანას „ლაჰესტანი", ჰქვია), 312,7 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა — 38 მლნ. დედაქალაქი — ვარშავა (გახსოვთ — „სკრა, აგარა და ვარშავა, სიყვარულმა გამაშავა"-ო; ჟიღიღინოთ რა, გვიშლის ვინმე, თუ?!)

**უკრაინა** — (სხვათა შორის, სიტყვა „კრაიან" უკრაინულად ქვეყანას ნიშნავს). 603,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 51,5 მლნ. დედაქალაქი — კიევი. (კროსვორდის ავტორი თბილისელი რომ არ ყოფილიყო, კიეველობას ინატრებდა!)

თარაზულად: 1. დღევანდელი ქვეყნების (თითქმის) საერთო მდინარე; 5. ერთ-ერთი დღევანდელი ქვეყნის დედაქალაქი; 6. მეორე მსოფლიო ომის ,,რა'' გადაიმალა ამ ჩვენს დღევანდელ ქვეყნებში? 9. საპრიზო თამაში; 12. რომის გადამრჩენები (მრ. რიცხ.); 15. საქართველოს მდინარე (რომლისპირა ქალაქში კიევის და მინსკის ,,დინამოსაც'' უთამაშიათ); 16. დაფნისებრი მარადმწვანე მცენარე; 18. ფოტოგრაფირების პირველადი მეთოდი, დაგერის მიერ შემუშავებული; 19. ბელორუსიც, უკრაინელიც, პოლონელიც.... ანუ იქ არსებული ,,მორკილებიანი'' კლასი; 20. პოლონელ-უკრაინელი თავადი; 21. ჩვენი დღევანდელი ქვეყნების ჩრდილოელი მეზობელი; 22. ქალაქი პოლონეთში; 23. წესად ქცეული ჩვეულება; 27. პოლონელი კინომსახიობი, ,,კაპიტანი კლოსი''; 28. პოლონეთის მდინარე; 29. საკვები პროდუქტი.; 31. შვედი მოჭადრაკე ქალი (მასაც ვესტუმრებით); 34. პოლონურ-უკრაინული წარმოშობის თანამედროვე რუსი პოლიტიკოსი; 37. მეფე-ყავა; 38. იგივეა, რაც სვლაგეზი; 39. ალმ. აფრიკის სახელმწიფო (იქ ჩასვლას ვერ შეგპირდებით); 40. უდანაშაულობის საბუთი; 43. (კიდევ ერთი) აფრიკული სახელმწიფო (ვითომ ჩავალთ იქ?); 44. ქართული ანბანის ასო; 46. უკრაინული საოლქო ცენტრი, ქალაქი; 47. ქალაქი ბელორუსში, ბრესტის ოლქში; 48. უკრაინელი გაფაშისტებული სამართალდამცავი პირი – ზოგადად.




შვეულად: 1. ქალაქი უკრაინაში; 2. შუა სს. უკრაინელი მოაზროვნე; 3. სადაურია (ვთქვათ ვინმე) კინტ-ჯონ მირონსონი? 4. ბუნების გაფრთხილების ,,მეცნიერება''; 7. დასაწყისი; 8. უკრაინულ-პოლონური საკრებულო; 10. რა აკრავს ჩრდილოეთით პოლონეთს? 11. (ჩვენი, მეგრული) მსამღერი; 13. პოლონური წარმოშობის ფასანაურელი მსახიობი, ბატონი იაშა... 14. საბჭოთა კინორეჟისორი, აქვს ფილმი ,,ოკრაინა''; 17. ყველა დროის უძლიერესი სომეხი ძალოსანი. იური... 24. სასცენო ლიტერატურა; 25. პოლონელი კინომსახიობი, ზბიგნევ...26. უკრაინელი პოეტი ქალი; 27. (ვინმე) უკრაინელი მწერალი... ენციკლოპედიიდან; 30. პოლონეთის ისტორიული მხარე; 32. ზემოთხსენებული უკრაინელი პოეტის სახელი; 33. პაერის ნაკადის გადაადგილება; 35. (საიდან სადაო) სოფელი ახმეტის რაიონში; 36. (პან) ბაჟანი, უკრაინელი პოეტი (რა ერქვა); 39. კიევის ,,დინამოს'' ფეხბურთელი, 80-იანი წლები; 41. პოლონეთის ქალაქი; 42. კიევის ,,დინამოს'' ფეხბურთელი, 60-იანი წ. 45. პატარა დაბა სოჭის მახლობლად.

### ანეკდოტი

ერთი კაცი ლუდხანაში შევიდა
– ლლლლუდდდი გგგაქვთ? – იკითხა
– გგგგვაქვს – უპასუხეს
– ცცცცცივია? – იკითხა
– ძძძძალიან! – უპასუხეს.
შემოვიდა მეორე კაცი
– ლუდი გაქვთ? – იკითხა
– დიახ, ბატონო! – უპასუხეს
– ხომ ცივია? – იკითხა
– ცივი და როგორი ცივი! – უპასუხეს
პირველი კაცი აღშფოთდა:
– მმმმე რრრრა გგგგამმმმეკაიფეთ? – იკითხა
– იიიიიმმმმას გგგგავეკკკკკიფეთ! – უპასუხეს.

### გასული ნომრის პასუხები

(პირველი გვ.) თარაზულად: 4. ამუნდსენი; 9. ბეიკერი; 10. პრიმადონა; 11. მელანქოლია; 12. მორო; 13. სირინოზი; 15. გოუ; 16. აბაშიძე; 19. ბურვილი; 21. ლაჩარი; 22. იავა; 23. ანანასი; 24. მისტიკა; 27. ნაკიანი; 29. აია; 30. ნანი; 31. ბალინჯო; 33. ტრენტინიანი; 35. ბიუროკრატია; 36. ირისი, 37. ემისია.
შვეულად: 1. კინემა; 2. ეკრანიზაცია; 5. მური; 6. დიალოგი; 7. ეკოლოგია; 8. ინაუგურაცია; 10. პლეიბოი; 13. სელინჯერი; 14. შრატი; 17. ბენგალია; 18. შინდლერი; 20. ლიანდაგი; 24. მინელი; 25. სარტრი; 26. იაუნდე; 32. რიტო; 34. იფი.
(აჯაფსანდალი), თარაზულად: 6. მახარაშვილი; 7. ამადუ; 8. სკამი; 12. მელოდია; 14. ესენინი; 15. ასტრონომი; 16. ბერია; 17. გაგუა; 18. პენტაგონი; 19. გარგანტუა; 21. რინგი; 23. გირაო; 25. აგრონომია; 27. ცვედანი; 28. ავიაცია; 31. ამბრა; 32. კასრი; 33. უნივერსიადა.
შვეულად: 1. ბავარია; 3. ჭაბუა; 3. მაკინტოში; 4. კვესი; 5. ალიანსი; 7. აზოტი; 9. იუნგა; 10. შერემეტიევო; 11. ინაუგურაცია; 13. ასტროლოგი; 14. ემიგრაცია; 20. განგსტერი; 22. გადია; 24. იჯარა; 25. ანაბანა; 26. ავოკადო; 29. ჯაყვა; 30. მისია.
(80000 კილომეტრი) თარაზულად: 2. მიშკოლცი; 6. ბრნო; 8. ოლომოუცი; 9. შტრაუსი; 10. ჩარდაში; 13. რეიხი; 14. ასკინკილა; 16. აფხაზი; 19. არვე; 21. ოსტრავა; 22. ხვიჩა; 23. ჩეჩენი; 24. მილი; 26. გრაცი; 27. დებრეცენი; 28. კავალერი; 31. პრაღა; 32. იძა; 33. ჰერცოგოვა; 35. სტოდოლა; 38. ვოლგოგრადი; 40. ეროტიკა; 41. იუნისტი; 42. მილიცია; 43. გოტი.
შვეულად: 1. ბრატისლავა; 2. მორავია; 3. კოლი; 4. ლამარა; 5. ილუზია; 7. ზინი; 8. ოსაკა; 11. ანაკრეონტი; 12. იდიოტი; 15. ლისტი; 17. ფერენცვაროში; 18. ფროიდი; 19. ავლაბარი; 20. ტიბალტი; 24. მირგოროდი; 25. სკუპრავი; 26. გვირგვინი; 29. ბალატონი; 30. კაპრალი; 34. ოდერი; 36. ტატრა; 37. ალვანი; 39. ლისი.
(კროუფვორდი) თარაზულად: 4. პობედა; 7. დეფორმაცია; 12. კოტრიალა; 13. ედლეიანი; 14. ამბულატორია; 15. მტლე; 16. ნიკე; 19. ანტიპოდი; 20. სტინგი; 22. ლირეთი; 24. აგვისტო; 26. ტური; 27. კიტელი; 32. როდეო; 33. ნოემბერი; 34. ანტი; 36. ირმა; 38. გიგანტომანია; 40. ტბორი; 41. აურა; 42. ანტონიმი; 45. კლოსი; 46. ირისი; 47. ბავარია; 48. ტოქსტონოგოვი.
შვეულად: 1. ფორმანი; 2. ბრაუნინგი; 3. კალატოზი; 4. პაროდისტი; 5. ბერინგი; 6. ანდერსი; 7. დელი; 8. ფრაუ; 9. რუსო; 10. ცენტნერი; 11. ანდერძი; 17. კვლი; 18. მოლბერტი; 21. ტოტი; 23. სტენოგრაფია; 24. არიერგარდი; 25. სკერცო; 28. ლონგინოზი; 29. დეკაბრისტი; 30. უბანი; 31. ვინ; 35. კალოვე; 37. რიბალკო; 39. პიერო; 32. ნუგა; 41. ლია.
(ნაცნობი ქალები)
თარაზულად: 5. კარდინალე; 11. ლოლობრიჯიდა; 12. ვანო; 13. პორნოგრაფია; 14. სამანიშვილი; 15. არქი; 16. პლაცკარტი; 17. ბუიგილი; 19. გრეტა; 20. იმედი; 21. რეალიზაცია; 25. ლული; 27. ალიონი; 28. კრონინი; 30. კრიტერიუმი; 31. რძალი; 32. სოკოლოვი; 34. ანგინა; 36. სალამბო; 37. იზაბელი; 38. ნემსი; 43. სკერცო; 44. კუპე; 45. კალატოზიშვილი; 47. ბერტონი; 49. ვივიენი; 52. არგო; 53. ფრონტი; 54. დიმიტრიევი; 55. როსტანი; 56. ადლი; 57. ქსენონი; 58. ფუტი; 61. ანძა; 63. ჯემი; 64. ქაქუცა; 66. პოლიციელი; 68. პერესტროიკა; 69. ეტნა; 70. სიბილიუსი; 72. ნიანგი; 74. სინდი; 76. ანტიკვარიატი; 80. არქაიკა; 82. იურმალა; 83. ოკლაჰომა; 86. ტუგია; 89. ამირანდარეჯანიანი; 91. ბიბო; 92, არვინ; 93. კვარაცხელია; 94. ჰიდრავლიკა.
შვეულად: 1. როტარუ; 2. დოდაშვილი; 3. სერიალი; 4. ციფი; 5. კელერი; 6. დანგლარი; 7. ნეგოციანტი; 8. ლუარა; 9. ზაარი; 10. კომერსანტი; 12. ვიატკა; 17. ბილეტრისტიკა; 18. იმპრესიონიზმი; 19. გდანსკი; 22. ლისტი; 23. ზაფრანა; 24. ცაბუნია; 26. ისრაელი; 27. ანალიზი; 29. დიამანტი; 30. კვებეკი; 33. კლარნეტისტი; 35. ანდერსონი; 39. მუშტი; 40. ფოსტერი; 41. ოკინავა; 42. მადონა; 43. სლაიდი; 46. აუერმანი; 48. ირიდიუმი; 49. ვირსალაძე; 50. ვასნეცოვი; 51. ევანჯელისტა; 59. ემბრიონი; 60. მატრიარქატი; 61. ალტერნატივა; 62. აბდაიკი; 63. ჯიპი; 65. ციკლი; 67. ესენია; 71. ლიანა; 73. გვირგვინი; 74. სიგარა; 75. შარაპოვა; 77. ტურბინა; 78. კრაზანა; 79. იკო; 81. ამრა; 84. კვერი; 85. ოფისი; 87. მახე; 88. ძირა; 90. ნარ; 91. ბილ.

# კროსმაისტერი

## საქართველოს პირველი საგაზაფხულო ჩემპიონატი სუპერკროსვორდის შევსებაში 10 ტურად

გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზზე

პირველი ტური — 17-23 მარტი

### ჩემპიონატის წესები:

— ტურნირი დაყოფილია 10 ტურად (გაზეთის 10 ნომრად)
— მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას
— ყოველ სუპერკროსვორდში ერთი სწორად ამოცნობილი სიტყვა ერთი ქულაა.
— ჩემპიონატში მონაწილედ ჩაითვლება ის, ვინც წარმოადგენს არანაკლებ 5 ტურის პასუხებს (დადგენილ ვადაში) თუნდ მიყოლებით, თუნდაც ტურების გამოტოვებით.
— ქულები შეჯამდება შემდეგნაირად:
სწორად ამოცნობილი სიტყვების რაოდენობა გაიყოფა იმ ტურების რაოდენობაზე, რომელშიც კროსვორდის შემვსები მიიღებს მონაწილეობას. მაგალითად: 7 ტურის ჯამში „მავანმა“ დააგროვა 600 ქულა, ე. ი. მისი კოეფიციენტი 85,7-ია. და თუ მეორე „მავანმა“ 600 ქულა 8 ტურის ჯამში მოიპოვა, მისი კოეფიციენტი არ აღემატება 75-ს.
— გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვისაც ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ექნება.
— ტურნირში გამარჯვებულს მიენიჭება საქართველოს საგაზაფხულო საკროსვორდო ტურნირის ჩემპიონის ტიტული, დაჯილდოვდება გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზით და ფულადი თანხით. პრიზები გადაეცემათ მეორე-მეხუთე ადგილის მფლობელებსაც.

**პასუხები წარმოადგინეთ შემდეგი სახით:**

— გაზეთში მოთავსებულ ჩარჩოში ჩაწერილი
— ნაჯღაბნისა და გადასწორების გარეშე
— პასუხი არ ჩაითვლება „ქულად“, ერთი ასოც რომ იყოს არასწორად ჩაწერილი.
— გისურვებთ წარმატებას.



**პირველი ტური — 94 სიტყვა. პასუხები წარმოადგინეთ 25 მარტის ჩათვლით.**

**თარაზულად**: 5. თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული მწვრთნელი; 11. რუსი მოგზაური, ცხენების „მადევარი“; 12. რა უსურვა აბესალომმა გოგიას? 13. სატრანსპორტო „სამყარო“; 15. განვითარებული კაცობრიობა; 16. თბილისელი გერმანელი აფთიაქარი; 17. დიდი რუსი მსახიობი, ფაინა... 18. ქართლოს ღარიბაშვილი — პროფესიით... 19. ქალაქი ჰომეროსის პოემიდან? 22. სპეციალისტის „მომზადების“ დონე; 26. საუწყებო „ლიდერი“; 28. მსოფლიოს ერთ-ერთი მეგაპოლისი; 30. სასცენო განათება; 31. ყველაზე დიდი „სამხეცის“ კონსტრუქტორი; 32. გავრცობილი ფორმის „ტალი“, საბჭოთა მოჭადრაკე; 35. თარ. №13-ში „მამოძრავებელი მანქანა“; 38. ყოფილი სატელევიზიო პროგრამა; 39. ერთ-ერთი მუსლიმანური განშტოების მიმდევარი; 40. ჩვენი სამეზობლოს ფულთაგანი; 41. დიდებული თბილისელი ბერძენი დირიჟორი; 45. ქალაქი ჩინეთში; 46. რონალდის მეუღლე; 47. მე-20 ს. ისტორიული სასამართლო პროცესის ქალაქი; 48. გია ფერაძის კინოროლი; 51. სომხეთის ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთში; 54. ეგეოსის ზღვის (პაწა-წა!) კუნძული; 55. რა მღერის „საბუდარელ ჭაბუკში“? 57. ამერიკელთა დამცინავი მეტსახელი; 60. ზამთრის ერთ-ერთი ოლიმპიადის დედაქალაქი; 62. (ბულგარულ-) რუსული ესტრადის ვარსკვლავი; 64. ქალაქი რუსეთში; 65. დიდი ბრიტანეთის ნაწილი; 66. გერმანელი მწერალი, ავტორი რომანისა „ცისფერი ლენტი“; 67. მასობრივი შიშის შედეგი; 69. ქიმიური „ვედრო“; 70. მედიცინის (ავრეპუტაციანი) დარგი; 73. საქართველოში დაკრძალული უკრაინელი პოეტი ქალის სახელი; 74. „პეკინზე“ მდებარე ბაღის პატრონი; 76. ძველთბილისელი მოქეიფე, კოლორიტული კაცი; 78. გრამფირფიტების „ბიბლიოთეკა“; 81. პატარა ქლიბი; 83. სავაჭრო ობიექტის „სავიზიტო ბარათი“; 84. ნივთების დასაგირავებელი „ობიექტი“; 85. ბრაზილიის დედა-მდინარე.

**შვეულად:** 1. კახი კავსაძის პარტნიორი „ცეკვის სწავლებაში“; 2. აპენდიციტის გართულებული ფორმა; 3. კუნძული მალაის არქიპელაგში; 4. ყველაზე მნიშვნელოვანი კინოპრემია; 5. რუსული პოლიტიკოსი „ქონიანი“ გადარეული (ჩუმად, ჩუმად... არვინ გაგვიგოს!); 6. გვარის ერთობლიობა; 7. ერთ-ერთი (ლიტ. კინო) ერისთავი; 8. ჰიგიენური ავზი; 9. შენობის გადასახური (მამაპაპური) საშუალება; 10. ტექსტზე დართული განმარტებანი; 14. სევდის ნაირსახეობა; 20. სამი წუთი; 21. „თავდამსხმელის“ სახეობა; 23. ტრანსპორტზე მისაბმელის ნაირსახეობა; 24. ხილის ზამთრისეული სახესხვაობა; 25. საგანთიადო „პროდუქტი“; 27. (უკაცრავად თქვენთან და) ამ ქვეყანას „გავუხურეთ რა...“ მეტისმეტი კროსვორდულობის გამო; 29. ტერიტორიული ერთეული; 32. მოსკოვის უნივერსიტეტის „ნათლია“; 33. ერთგვარი ნებართვა; 34. ალის დიდი წინაპარი; 35. „ბრბო, მასა...“ არქაულ-სტილისტური ფორმით; 36. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 37. სპეციფიური პოლონური სახელი მამაკაცისა; 39. ბეჭდური ასოების ერთობლიობა; 42. მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის სახესხვაობა; 43. მუსიკალურიც და ფერწერულიც; 44. გაქვავებული კანონი; 46. ინერტული გაზი; 49. ძველებური თოფი; 50. საკუთარი სილამაზის „ბოროტად“ გამომყენებელი; 52. ვენეციელი მენავე; 53. „ავტორი“ ყველაზე პრესტიჟული პრემიისა; 56. მგლების საზოგადოება; 58. ბებია-ბაბუების დაავადება; 59. „დიდი ტბების“ წარმომადგენელი; 61. ფრინველი, რომელიც კახელებს არ ეშვება (ბოროტი ანეკდოტების მტკიცებით); 62. სასმელი, რომელიც ფიროზას (ძალით) შეაყვარეს; 63. კობრას და როკის პარტნიორი; 64. მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონი ჭადრაკში... კუბიდან; 68. (ბატონი) ქირია, პოლიციელი... 69. სითბოს საზომი ერთეული; 71. სპეციფიური აღმოსავლური „გასაბოლებელი“; 72. ბელორუსი მწერალი, ოლესი; 75. „ნამდვილის“ საუკეთესო სარითმო სიტყვა; 77. ასპიტისებრი შხამიანი, 2-4 მეტრიანი გველი; 78. ყოფ. გდრ-ს კინოსტუდია; 79. ყურანის ცალკეული „პასაჟი“; 80. ერთ-ერთი წინასწარმეტყველი; 82. (ქალბატონი) კრამლინგი, მოჭადრაკე.

### პრობლემატური ანეკდოტი

ჟურნალისტი გიორგი გარდაიცვალა და ღმერთის წინაშე წარდგა; „გიორგი-ჩემო — უთხრა უფალმა — ძალზედ რთული საქმეა. ერთის მხრივ, შენ უამრავი ტყუილი გითქვამს, რალაც იდეოლოგიების გამო მრავალი ხალხი მოგიტყუებია და ამიტომ ჯოჯოხეთში მოხვედრას იმსახურებ, მეორეს მხრივ კი, ეს ტყუილი შენ „ზემდგომმა ორგანოებმა“ გათქმევინეს და ეს ამსუბუქებს შენს ცოდვებს... ასე რომ, თავად ირჩიე — სამოთხე თუ ჯოჯოხეთი? ახლა კი ორივეს გიჩვენებთ“.

სამოთხეში სიმშვიდე იყო, ღრუბლებს შორის ფერმკრთალი ანგელოსები დაფრინავდნენ და რაღაც მონოტონური მუსიკა ისმოდა, ჯოჯოხეთში კი საქეიფო სიმღერებს მღეროდნენ, ლამაზ ქალებს იკრავდნენ გულში და შამპანიურს მიირთმევდნენ.

„ოპო, მე მგონი, ჯოჯოხეთში ყოფნა სჯობს“ — გაიფიქრა გიორგიმ.

ერთი კვირის შემდეგ, თავისი სამფლობელოების შემოვლისას, ღმერთი გიორგის გადაეყარა, რომელსაც გაავებული ტარტაროზები საშინლად აწამებდნენ.

„ჰოი, მეუფეო — შეჰღაღადა გიორგიმ — მაშ, ის რა იყო, შენ რომ მაჩვენე — ქეიფი, ქალები, შამპანიური?!“

„ეჰ, გიორგი-ჩემო-უპასუხა ღმერთმა — ეს ხომ ჩვენი ჟურნალისტების მიერ მომზადებული სარეკლამო კლიპი იყო!..“

# ყველაფერი ტელესერიალების შესახებ



ლუსელია სანტოსი

## მონა, რომელმაც მსოფლიო დაიმონა

„მონა იზაურა“ ყველამ ნახა. იმ ცხონებული სსრკ-ში ამ ფილმს მთელი მოსახლეობის 82 პროცენტი ადევნებდა თვალს. საეჭვოა, რომ ეს რეკორდი სადმე ოდესმე მოიხსნას...

ყველას ახსოვს მტარვალი ლეონსიოს ხელში ჩავარდნილი ქალი, რომელიც „ფაზენდაზე“ იყო გამომწყვდეული და რომელიც საბჭოთა კავშირის ნგრევის ეპოქაში პრაქტიკულად ერთადერთ „ხელშემწყობი“ იყო 15 რესპუბლიკის ერთსულოვნებისა... თუნდაც ცრემლის ღვრაში.

### რა ხდებოდა სხვა ქვეყნებში

— ბრაზილიაში იზაურა ისევეა ეროვნული სიმბოლო, როგორც მათი სათაყვანებელი კარნავალი.

— „მონა იზაურა“ აჩვენეს მსოფლიოს 128 ქვეყანაში.

— ამბობენ, რომ პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ძალზედ ნაღვლობდა იმას, რომ „იზაურას“ ფინალური სერია ვერ ნახა, ხოლო ვარშავის ერთ მსხვილ ქარხანაში მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს იმის გამო, რომ ერთ-ერთი სერია განმეორებით არ იქნა ნაჩვენები.

— პორტუგალიაში მინისტრთა კაბინეტმა თავისი ჩვეული რეჟიმი დაარღვია და სხდომებს ერთი საათით ადრე იწყებდნენ, რათა ტელესერიალისთვის მიესწროთ.

— იტალიაში არცთუ ხომრობით ქუჩაში დემონსტრანტები დადიოდნენ მოწოდებით — „თავისუფლება იზაურას!“

— და ბოლოს:

ლუსელია სანტოსი განსაკუთრებული დამსახურებისათვის საგანგებო ვახშამზე იქნა მიწვეული თვით ფიდელ კასტროსთან, სერიალების მთავარ ფანატთან კუბაში!

## ტელესერიალები ანუ "საპნის ოპერები“

— „საპნის ოპერების“ ჩანასახი რადიოში უნდა ვეძიოთ. პირველი ასეთი მელოდრამები 30-იან წლებში გაჩნდა ჩიკაგოში და მისი ავტორი ერთი იქაური მასწავლებელი იყო.

— ტელევიზიის შექმნისთანავე, 40-იან წლებში, ამ ჟანრმა პატარა ეკრანებზეც გადაინაცვლა. დასაწყისში მთელი ამ პროდუქციის ფინანსირება საპარფიუმერიო კომპანების მიერ ხორციელდებოდა და კბილის პასტისა და საპნის რეკლამირებას ემსახურებოდა. ასე გაჩნდა ცნება — „საპნის ოპერა“.

— პირველი მექსიკური ტელესერიალი გადაღებულ იქნა 1975 წელს და ეწოდებოდა „აკრძალული გზა“. ამ ფილმს გამაოგნებელი წარმატება ჰქონდა და ძირითადად ქალთა აუდიტორიის ინტერესებს იცავდა, თუმცა მალე გაირკვა, რომ მას მდიდრებიც უყურებენ და ღარიბებიც, ბავშვებიც და მოხუცებიც, ქალაქშიც და სოფელშიც. მაგალითად ტელესერიალი „მდიდრებიც ტირიან“ თითქმის 20 ენაზე ითარგმნა და 70 ქვეყანაში იქნა ნაჩვენები.

## მექსიკა — ტელესერიალების „საბადო“

მეხიკოს სან-ანხელის უბანში განლაგებულია ტელეკომპლექსი სახელწოდებით „ტელევისა“, რომელიც 20 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზეა განლაგებული. აქ, უკანასკნელი აპარატურით აღჭურვილი, 12 პავილიონი მდებარეობს, რასაც ახლავს რესტორნები, ბენზინგასამართი სადგურები, სასწრაფო დახმარება და ეკლესიაც კი.

„ტელევისა“ წელიწადში 20 სერიალს აწარმოებს. 1996 წელს აქ გადაღებული ფილმები, გარდა თავად მექსიკელებისა, 254 მილიონმა მაყურებელმა ნახა.

„ტელევისის“ პროდუქცია მსოფლიოს 107 ქვეყანაში იგზავნება და ეს ფირმა თავისი „საპნის ოპერების“ ხარისხის ამაღლების მიზნით არანაირ ხარჯებს არ ერიდება. ასე მაგალითად: ერთი სერიალის გადაღებისას აქ აგებულ იქნა მთელი ქალაქი იაპონური დეკორაციით, ხოლო მთავარი გმირისათვის შეკერილ იქნა 150 კაბა კრისტიან დიორის კოლექციიდან.

ბრაზილიელთაგან განსხვავებით, რომლებიც მელოდრამის სცენარს ხშირად ცვლიან ფილმის დემონსტრირებისას, მექსიკელები ყველაფერს მკვეთრად, გეგმაზომიერად წარმართავენ. გამონაკლისი იყო მხოლოდ სერიალი — „ვარდისფერი ზონრები“, რომელიც 200 სერიის მოცულობით გადაიღეს და შემდეგ, მაყურებელთა დაჟინებული მოთხოვნით, კიდევ (სულ რაღაც!) 400 სერია დაუმატეს.

## როგორ იღებენ ტელესერიალებს

მუშაობა, როგორც წესი დილის 8-ის ნახევარზე იწყება. მსახიობებს ეძლევათ ერთი საათი ტექსტის გასაცნობად და სარეპეტიციოდ. ცხრიდან თოთხმეტ საათამდე მიმდინარეობს გადაღება, რომელშიც მონაწილეთა ერთადერთი იმედი „მოკარნახე ეკრანია“ და ის გადასაღები კამერის გვერდითაა განლაგებული.

დღეში იღებენ 6-8 სცენას სხვადასხვა სერიებიდან და მსახიობებს ზოგჯერ წარმოდგენაც არ აქვთ, თუ რა უნდა მოხდეს, ვთქვა, მე-10 სერიის ეპიზოდის შემდეგ მე-80 სერიაში გადასვლისას.

ასე რომ, ის სიმსუბუქე, რომელიც ტელესერიალების ყურებისას შეიმჩნევა, ძალზედ მოჩვენებითია და იმისათვის, რომ ჩვენ ერთი ზედმეტი ცრემლი დავღვაროთ, მსახიობები უამრავ ოფლს ღვრიან.

## ძველი ნაცნობები

*(მარია, ხუან კარლოსი, ვიქტორია)*

*იგონებს ვიქტორია რუფო — უბრალოდ მარია*

*ტელენოველების მთავარი დანიშნულება მაყურებლის გართობაა. როგორც წესი, აქ არ არის სწორხაზოვანი მორალი და დამრიგებლური იდეები, თუმცა რაღაც მაინც შეინიშნება. ჩვენს ფილმში ასეთი იდეა არის, ანუ — ადამიანის, და პირველ რიგში ქალის, მიერ ცხოვრებისეულ გარემოთა დაძლევა. და მაინც — ყოველი ტელენოველა ეს არის ზღაპარი (ღარიბი გოგონა რომ მდიდარ ვაჟს შეუყვარდება, შვილი რომ დაკარგულ მამას იპოვის და ა. შ.). და ეს ზღაპარი ადამიანებს ოცნებაში ეხმარება.*

*ჩვენს სერიალებს უამრავი მაყურებელი ჰყავს და სწორედ ესაა იმის დასტური, რომ მათ არსებობის უფლება გააჩნიათ.*



## კიდევ ერთი ნაცნობი

მსახიობი არიელ ლოპეს პადილიო (ანდრესი — „ველური გულიდან“) მარიანა ლევისთან ერთად ტელესერიალიდან „გზაჯვარედინზე“.

სხვათა შორის, ამ ორ მსახიობს სწორედ ამ ფილმში შეუყვარდათ ერთმანეთი და იქორწინეს კიდეც.



## ანეკდოტები

ქმარი დაბრუნდა სამსახურიდან და ჩემოდნის ჩალაგება დაიწყო.

— საით გაგიწევია?

— აფრიკაში. იქ ერთი ტომის ყველა კაცები დაუხოციათ და ქალები ერთი სიყვარულის ღამისათვის ოც დოლარს იხდიან.

— მეც მივდივარ.

— შენ რაღა გინდა?

— მინდა ვნახო, როგორ იცხოვრებ თვეში ორმოც დოლარად.

○ ○ ○

ორმა თბილისელმა რაღაც ფული იშოვეს და ე. წ. „არიოლ-რეშკის“ საშუალებით დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ დახარჯონ ეს ფული.

პირველი — თუ „არიოლი“ დაჯდა, მე და შენ მარტო ვქეიფობთ

მეორე — თუ „რეშკა“ დაჯდა?

პირველი — მაშინ ქალებთან ერთად ვქეიფობთ!

მეორე — თუ არც „არიოლი“ დაჯდა და არც „რეშკა“?

პირველი — მაშინ ფულს ცოლებს ვაძლევთ...

მეორე — თუ ჰაერში დაიკარგა?

პირველი — მაშინ ფულს ვრიცხავთ მშვიდობის ფონდში!




## ფანტაზიიდან ფანტაზიამდე

*(ინფორმაცია განს□ისათვის)*

გაიძახიან — „ადრე უკეთესი ცხოვრება გვქონდაო“ — და მე ერთი კინოფილმის ცნობილი გამოთქმა მახსენდება — „გააჩნია რა შემთხვევაშიმეთქი“. თუ იმას გავიხსენებთ, რომ „მავან“ ორგანიზაციებში 10 კაცის საკეთებელი საქმე 100 „უსაქმურზე“ იყო გადანაწილებული და იმ ასივეს სრული ხელფასი ეძლეოდა, მაშინდელი ცხოვრება უთუოდ ჯობდა; მაგრამ იმ „უსაქმურობის“ გამოისობით გამოცარიელებულ მაღაზიებს თუ გავიხსენებთ (ვითომ დაგავიწყდათ) დღევანდელი გადატენილი სჯობს. ვერც იმაში დამარწმუნებთ, რომ მაშინდელი ყოფა სჯობს, რომ მაშინ მაღაზიები სავსე რომ ყოფილიყო, „სულო და გულო“ სანოვაგეს არ მოვიკლებდით და არც ისაა სწორი, რომ ახლა 99 პროცენტი მშიერია და ერთი — მაძღარი... უბრალოდ გაზვიადება გვიყვარს!

ცხოვრება ყოველთვის ჭირდა მშრომელი კაცისათვის, არამშრომელებს კი „სად სცალიათ“ გაჭირვებისათვის?!

▼▼▼

მივდივარ რუსთაველზე. ყოფილ მაღაზია „დინამოსთან“ თეთრით მოსილი გოგონები მაჩერებენ — „თქვენ ეწევით, ბატონო?“

— ვეწევი ვპასუხობ.

— მაშინ ჩვენი სიგარეტი გასინჯეთ! — მაწვდიან ერთ ღერს (უფასოდ) და ცეცხლითაც თავად უზრუნველმყოფენ.

მე მადლობის მეტი რა მეთქმის?!

ვაგრძლებ გზას და ვფიქრობ — „ნუთუ აღარავინაა იმის გამაფრთხილებელი, რომ მოწევა მავნებელია?! ან იქნებ სულაც არაა მავნებელი და ჯანდაცვის სამინისტრო იმით, მე რომ მაფრთხილებდა, საქმეს იჩენდა... საქმეს რომ იჩენდა ხელფასსაც იღებდა და მერე ისევ მაფრთხილებდა და ასე ვეჭუკჭუკებოდით ერთმანეთს: მე ვეწეოდი, ის მაფრთხილებდა, მე ვმუშაობდი, ის ხელფასს იღებდა!

მე ახლაც ვმუშაობ და ახლაც ვეწევი...

ერთხელაც გამაფრთხილეთ რა, გეხვეწებით!

▼▼▼

ქალაქის ცხოვრებაში სულ უფრო იჭრება ახალი თემა, რომელსაც „კასანდრა“ ჰქვია. ე.წ. „დეზერტირის“ ბაზარში ერთი კაცი ყვიროდა:

— აბა, კასანდრას ბარკლები აქეთ, იაფად!

— ადრე ეს ბარკლები ასუსნასი არ იყო? — ჰკითხა ამ ბაზრის ერთმა მუდმივმა კლიენტმა.

— კაცო, ბარკლები ჩემია!... მინდა კასანდრას დავარქმევ და მინდა ანა ბაჯიას, შენ რაო“! — შეიცხადა გამყიდველმა.

მე კი ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა:

ერთი ეკითხება მეორეს: „კედელზე კიდია და რახრახებს, რა არის?“

— „საათიო“ — მეორე პასუხობს.

— „არა! — მოტოციკლეტი!“

— „მერე-და კედელზე რა უნდა?!“

— „მოტოციკლეტი ჩემია, მინდა კედელზე დავკიდებ და მინდა ჭერზეო“ ნიშნს უგებს პირველი.

... ამ უკბილო ხუმრობისა რა მოგახსენოთ და კერძო საკუთრება რომ ხელუხლებელია, ყველამ უნდა გაიგოს (ყველამ!)

ი/ს „ფანტაზია“
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№ 7/1-1811
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
პაატა დავითაშვილი
სოსო გენებაშვილი
ზურა აბაშიძე
ბაქარ მათიკაშვილი
მაია კვირიკაშვილი
მაკა ხიდეშელი
ქეთი უერთაშვილი
მისამართი: უზნაძის ქ. 18
(„საქწიგნის“ შენობა, I სართული)

სუპერფანტაზია

CROSS-GALLERY

# სათვალიანი ნაცნობები — ნაცნობ გაზეთში







































**თარაზულად:** 1. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 9. მიმოხილვა — პრესის თუ ტელევიზიის „ენაზე“; 12. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 13. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 14. ამერიკული ავტომობილი; 16. თითოეული... ნულიდან ცხრამდე; 17. ყელსაბამი („ლალისფერი, ბროლის ყელზე შესაბმელი...“ თან ვიღიღინოთ, რა, გვიშლის ვინმე?!); 18. ქალაქი კანადაში; 19. უძვ. ქალაქი უზბეკეთში; 21. ელექტრო მუს. ინსტრუმენტი (აი, აკომპანემენტიც გვაქვს!); 23. თანამედროვე რუსი მსახიობი (კ. ფ. „პასპორტში“... ბალალაიკით); 24. მუსიკოსთა ჯგუფი (აი, სრული მუსიკალური თანხლებაც); 26. აშშ-ს შტატი; 29. მრგვალი კანფეტის სახეობა (... პირიც ჩავიტკბარუნოთ!); 31. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? (... თანაც მომღერალია! ღიღინშიც წაგვეშველება); 33. ცნობილი ფრანგი მეზღაპრე; 34. ხევსურული ტოპონიმი; 35. მეცხრამეტე საუკუნის იტალიელი რევოლუციონერი; 38. (კიდევ ერთი) ქალაქი უზბეკეთში; 42. როგორც წესი, როგორი ადამიანი ხმარობს შავ სათვალეს (ფიზიკური ნაკლის გამო)? 43. ძვ. თბილისელები ამ ემოციას „პოპოებს“ ეძახოდნენ (ღმერთმა აშოროს ჩვენს ქალებს); 44. ფრანგი მეოგავე; 46. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? (ამის სიმღერა არ გამოგვადგება); 48. რა აქვს თბილისში საკუთარი კუს? 49. აფხაზი — „იმათებურად“; 51. სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში; 53. ხვიარა მცენარე; 56. სცენიური მიმსგავსება-გამასხრება; 57. ქალბატონი ბერტა, ქართველი მსახიობი; 59. ძველი საათების ნაწილი; 61. პოეტი, ლატვიური ლიტერატურის კლასიკოსი; 63. რა შეიძლება ეწოდოს განცდას, როცა კარგ პურ-მარილზე (საგზაო პოლიციასთან „ურთიერთობის“ თავიდან არიდების მიზნით) მძღოლი ღვინოს ვერ მიირთმევს; 64. (კიდევ ერთი) ქალაქი უზბეკეთში; 66. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია, უკანასკნელი ჯვრისწერის შემდეგ? (... და აღარც მღერის!); 68. „ენით დაკოდილი“ — თავისი არსით; 70. ქალაქი ესტონეთში; 71. ე. წ. „დედამიწის სახურავის“ ნამდვილი სახელი; 73. სიცოცხლეში ერთხელ აყვავილებადი (მექსიკური) მცენარე; 75. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია — ეს „შურიკა“? 76. (ამჯერად) უზბეკეთის მდინარე (კროსვორდში უდედფისოდ); 78. ზღვის ნაწილი; 79. მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყნის წარმომადგენელი; 80. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 83. საინფორმაციო საშუალებათა ერთობლიობა; 85. (ენციკლოპედიიდან) ფრანგი კომპოზიტორი, პოლი... (1865-1935); 87. (მოგონებებიდან) ტალინის მთავარი სასტუმრო; 88. ფიზიკური ნაკლის მქონე პირი; 90. მათემატიკური „თანაფარდობა“; 91. (ციურ-) ბუნებრივი მოვლენა; 92. ალბ. ევროპის სახელმწიფოს ფული; 94. კაცი, რომლის სახელი 1572 წლის 24 აგვისტოს ღამის ხოცვა-ჟლეტას ეწოდა; 97. საერთო ჰორიზონტალური სახურავის საყრდენი სვეტების ერთობლიობა; 100. ოლღა ბების ძროხა; 101. (მისის) ჰეპბერნი; 102. სამახსოვრო ნივთის სახესხვაობა; 103. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 104. ლიცეუმის მოსწავლე; 105. საქართველოს მდინარე; 106. თანამდებობრივი დაქვემდებარება.

**შვეულად:** 1. ადგილობრივი ანესთეზიისათვის ხმარებული სამედიცინო პრეპარატი; 2. უკრაინელი მწერალი ავტორი მოთხრობისა „უსინათლო მუსიკოსი“; 3. რუსული ესტრადის „ლომი“; 4. რუსული (საბჭოთა) კინოხელოვნების ვარსკვლავი წარსულში; 5. იტალიის უძლიერესი საფეხბურთო კლუბი; 6. მე-18 ს. ფრანგი „განმანათლებელი“ — ფილოსოფოსი; 7. რესტორნის „თანამდებობა“; 8. სამეცნიერო წოდება; 9. წყალქვეშა კლდე; 10. ძვ. რომაელი პოეტი; 11. (კიდევ ერთი) ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანი; 15. კაცი, რომელმაც ხუთი რგოლის თამაშები შექმნა; 20. პომპეზური ამალა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“; 22. „ძაფიანი ქალბატონი“ ბერძნულ მითოლოგიაში; 25. „მშრომელი“ მეტროპოლიტენში (ნეტა რა უნდა იყოს, ჰა!); 27. მეფე, რომლის მსგავსადაც გალაკტიონი ატირდა (ერთ ლექსში); 28. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 29. მეცხვარეების „რთველი“; 30. მუშაობის ერთეული; 32. სინიორიტა ტორესი, კასანდრას როლის შემსრულებელი; 34. ავსტრალიის ქალაქი; 36. ყველაზე ცნობილი დანების მსროლელი, ვენესუელადან; 37. საქართველოს ისტორიული ციხე-სიმაგრე; 39. დროის ერთ-ერთი სინონიმი; 40. ხვრელი რუსულად (უკაცრავად სხვა ვერაფერი მოვიგონეთ); 41. ფუტკრის „პროფესია“ ოთარ რამიშვილის სიმღერაში; 45. (კიდევ ერთი) ქალაქი უზბეკეთში; 47. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 50. ბეთჰოვენის ერთ-ერთი საფორტეპიანო სონატა; 52. სპორტული მოედნის სახესხვაობა; 54. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 55. ზღვაზე გადაადგილების საშუალება წარსულში; 58. (ბატონი) ბალანჩივაძე; 60. რუმინეთის საფეხბურთო კლუბი; 62. სიმღერა, რომელსაც სოფია როტარუ და იაკ იოალა ასრულებდნენ; 65. კასანდრას ბოშა ბებია; 66. გურულების სიმღერის თავისებურება; 67. რუსული საცირკო დინასტიის გვარი; 69. ბრაზილიური ცეკვა; 70. ძვ. ბერძენი მოქანდაკე; 72. ბრიტანული სიგრძის საზომი ერთეული; 74. რა ჰქვია სრუტეს აფრიკასა და ევროპას შორის? 77. მამალი ცხენი; 79. ჩინეთიდან წამოსული სასმელი (ცხელ მდგომარეობაში); 81. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია? 82. მწყემსის „ამუნიცია“; 84. *(იხილეთ ფოტო)* რა გვარია; 85. ირლანდიის დედაქალაქი; 86. ერთ-ერთი სტანდარტული საფეხბურთო მდგომარეობა; 89. ფეხბურთი ამერიკულად; 93. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი; 95. „კრისტოს“ ფუნქციონალური კოლეგა; 96. გონებრივი პროდუქტი; 98. ქალაქი ბელორუსში; 99. სიმაღლის მანიშნებელი ხე — სიმბოლო.